№ 199
ხუთშაბათი, 17 სექტემბერი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 199
ხუთშაბათი, 17 სექტემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

### კბილის ექიმი
### ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—10)

### პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2—11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვების.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს. სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ტფილისი, 17 სექტემბერი

დღეს ბედნიერი დღე უთენდება ტფილისს! დღეს იგი ჰნახავს თავისის საკუთარის თვალით დიდის ხნის უნახავს, მხოლოდ სანახავად დიდად სასურველს, საყვარელს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, რუსეთის იმპერატორის ნიკოლოოზ პავლეს ძის შვილს, უავგუსტოესს გენერალ ფელდმარშალსა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც თითქმის ოცი წელიწადი ჩვენს ქვეყანაში გაატარა, რომელსაც ჩვენის ქვეყნის დიდი და პატარა კარგად იცნობს და ყველასათვის საყვარელია, ყველასათვის სასიხარულოა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის ხილვა!..

მისი უმაღლესობა 1862 წლის 6 დეკემბერს იქმნა დანიშნული კავკასიის „ნამესტნიკად" და 1882 წლამდე უავგუსტოესი მმართველი ამა ქვეყნისა აღარ განშორებია აქაურობას. მისის უმაღლესობის აქ ყოფნის დროს ბევრი რამ ახალი, საკეთილო წეს-რიგი დამყარდა ჩვენს ქვეყანაში, ბევრი რამ ახალი, საუკეთესო ცვლილება შემოვიდა. მისის უმაღლესობის დროს გამოცხადდა, 1864 წლის 8 ნოემბერს, უმაღლესად დამტკიცებული დებულება ბატონ-ყმობის განთავისუფლების შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში; ოთხის წლის შემდეგ მისის უმაღლესობის არა-მცირე მონაწილეობითვე შემოღებულ იქმნა 1864 წლის 20 ნოემბრის სამოსამართლო წესდებანი. არ გასულა კიდევ ორი წელიწადი, რომ პირადი დამოკიდებულება მოისპო სამურზაყანოსა და აფხაზეთში და გლეხთა ადგილ-მამულის მხრივ უზრუნველ-ყოფის დებულება იქმნა შემოღებული, და მრავალი სხვა, რომელთა აქ ჩამოთვლა და აღნუსხვა ყოვლად შეუძლებელია. როგორც ბარონი ა. პ. ნიკოლაი სწერდა თავისს მიერ შედგენილ „დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ათის წლის ნაყოფიერ მოღვაწეობის ანგარიშში", მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დასწერა კავკასიის სამხედრო მატიანეს უკანასკნელი ფურცელი და საბოლოოდ ჩაუყარა მკვიდრი საძირკველი იმისს მშვიდობიანად განვითარებასა და წარმატებას.

მისის უმაღლესობის შემწეობით და დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე სწავლა-განათლების სასარგებლოდ. მისი უმაღლესობა, უავგუსტოესი მმართველი ჩვენის ქვეყნისა ყოველთვის სიყვარულითა და თანაგრძნობით ეკიდებოდა საზოგადოდ საქართველოს და კერძოდ ქართველთა სიკეთისა და ბედნიერების საქმეს. საკმარისია გავიხსენოთ, სხვათა შორის, რომ მისის უმაღლესობის ნება-რთვით არის დაარსებული „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", „დრამატიული საზოგადოება" და სხ. ძვირფასი სტუმარი ჩვენგან წასვლის შემდეგაც, როდესაც იგი რუსეთის თვით-მპყრობელ იმპერატორის მიერ მიწოდებულ იქმნა სახელმწიფოს უფრო დიდთა საქმეთა განსაგებად, ყოველთვის მოწყალე გულით ეპყრობოდა ყოველს საქმეს, ჩვენის ქვეყნისათვის საკეთილოსა და საბედნიეროს.

კიდეც ამითი აღიგო მან ქართველთა გულში მკვიდრი სახსოვარი სიყვარულისა! სიხარულისა და სიყვარულის გრძნობით აღვსილი მიისწრაფის დღეს დიდი და პატარა ძვირფასის სტუმრის, უავგუსტოესის მფარველის სახილველად და ყველას ბაგესა და გულზედ აკერია: „მშვიდობა მოსვლასა შენსა!" ყოველის ქართველის გული, დამტკბარი დღეს ამა სიხარულითა და სიყვარულით, ერთობილად აღავლენს ლოცვა-ვედრებას უზენაესის მიმართ მისის იმპერატორებითის, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სადღეგრძელოდ.

ა.

## ახალი ამბავი

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე უავგუსტოეს შვილის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძითურთ ჩამობრძანდება დღეს, 17 სექტემბერს, დილის 9 საათზედ. ტფილისის სადგურზედ გამწკრივებული იქმნება საპატიო დარაჯი. სადგურზედვე მისს იმპერატორებითს უმაღლესობას მიეგებებიან სამოქალაქო და სამხედრო უწყების წარჩინებული მოხელენი, თავად-აზნაურთა დეპუტაცია, ქალაქისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხვანი. სადგურიდგან მისი უმაღლესობა ეტლით წაბრძანდება დიდუბის მინდორში, სადაც ჯარს დაათვალი-

## ფელეტონი

### გრემის ნაშთები

სოფ. ენისელი, რომლის საზოგადოებასაც შეადგენს ს. გრემი, მდებარეობს თელავის მაზრის გაღმა მხარეში პატარა მდ. ინწობის მარცხნივ, რომელიც ერთვის მდ. ალაზანს მარცხენა მხრიდგან. ინწობის გაღმა, მარჯვნივ, მდებარეობს სოფ. გრემი. ორივე სოფელს ჩრდილოეთით საზღვრავს სოფ. ალმატი და საბუე, რომლის ახლოს ამართულია ჰაერში კავკასიის უმთავრესი მთაგრეხილი, რომელზედაც თოვლი დამდნარია მხოლოდ მკათათვესა და მარიამობისთვეში. ამ სოფლების არე-მარე ერთი საუკეთესო სახაფხულო ადგილთაგანია მთელს კახეთში. ეს სოფლები სულ ვენახებსა და ბაღებს შორის არის გაშენებული და შვენიერის ჰაერითა და წყლით მეტად შემკული და მდიდარია. მდინარე ინწობიდგან რუებია გაყვანილი, რომელნიც რწყავენ ვენახებს, ბაღებს, ბოსტნებსა და აბრუნებენ ინწობის სიგრძეზედ დამწკრივებულს წისქვილებს. საბუესა და ენისელში სამინისტრო სკოლებია გამართული. ენისელში არის აგრეთვე გამართული ავადმყოფთა სამკურნალო.

სოფ. გრემის ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთით არის ნაქალაქევი ძველის გრემისა, რომელიც ადრე, თელავის წინად, სატახტო ქალაქი იყო კახეთის მეფეებისა. ეს ნაქალაქევი ახლა ენისელს ეკუთვნის.

გიორგი V „ბრწყინვალესაგან" პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველო ხელ-მეორედ (პირველად 1258 წ. მონგოლების შემოსევის დროს ორს სამეფოდ გაიყო მთელი საქართველო) და საბოლოოდაც გაიყო გიორგი VIII დროს. პირველად წინააღმდეგობა გიორგი VIII იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა გაუწია და, რაკი მეფე ბრძოლაში დაამარცხა მან, თვით ეკურთხა მეფედ და ავიდა იმერეთის ტახტზედ ბაგრატ II სახელით 1455 წელს. ასეთი უბედური გარემოებით ისარგებლა ჯერ ათაბაგმა ყვარყვარემ და მერე კახეთის მთავარმაც დავით ბაგრატიონმა. გიორგი VIII-მ დაიპყრო ქართლი და ჯარებით გასწია კახეთისაკენ, კახელებმა ამ დროს უღალატეს თავისს ერისთავს, რომელიც იმ წამსვე გაიქცა დიდოეთში და კახეთი მეფემ ქართლს შეუერთა... მაგრამ, როდესაც გიორგი VIII გარდაიცვალა და გამეფდა იმისი შვილი კონსტანტინე, კახელებმა მაშინვე მოიწვიეს დიდოეთიდგან დავით, რომელიც ეკურთხა მეფედ წმინდა ნინოს მონასტერში (სოფ. ქედელში) 1469 წელს და თვისს სატახტო ქალაქად აირჩია გრემი. ამიერიდგან გრემი კახეთის მეფეთა სატახტო ქალაქი იყო სულ, ვიდრე არჩილ მეფემ (1664—1675 წ.) არ გადიტანა ტახტი თელავში, სადაც მან აღაშენა სასახლე.

ქალაქი გრემი შეამკო და გაამშვენიერა კახეთის მეფეებმა ალექსანდრე I (1492—1511 წ) და ნამეტნავად მეფე ლევანმა, რომელმაც იმეფა 1520—1574 წლამდე. ლევანი, თეიმურაზ II და ირაკლი II შემდეგ, ერთი უშესანიშნავესი მეფეთაგანია კახეთში. ეს ის მეფეა, რომლის დროსაც კახეთის ჯარი შეუერთდა მთელს ქართლოსიანთა ჯარს, რომელიც ებრძოდა გამძვინვარებულს ურჯულოებს ძველი ურისტანის აკლებისათვის. ქართველებმა საშინლად დაამარცხეს სპარსელნი და დაიპყრეს საქრისტიანო სიწმიდის ქალაქი—იერუსალიმი. ქართველებმა, სპარსელების დამარცხების დროს იშოვეს აუარებელი სიმდიდრე, შეამკეს დიდის დიდებით წმიდა ბეთლემი, მაცხოვარის საფლავი, წმიდა გოლგოთა, რომელნიც აჩუქა ოსმალეთის ხონთქარმა გამარჯვებულ ქართველებს და ძლევა-მოსილი ჯარი მცირე აზიის ბრძოლის ველიდგან დიდის ამბით დაბრუნდა ისევ თავისს სამშობლო მხარეში.

ლევანმა დაუმორჩილა ძლიერს კახეთის ტახტს თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, ჰერეთი და მთელი ლეკეთი, რომლის მამაცნი და ამაყნი შვილნი, სახელმწიფო ხარჯის მიცემის მაგიერ, ზაფხულობით ყინულს უზიდავდნენ ზურგით გრემში. ლევანის და იმისი შვილის, ალექსანდრე II მეფობის დროს კახეთში სრული მშვიდობიანობა და წესიერება ჰსუფევდა, რადგან ირანის დიდი მბრძანებელნი შაჰ-თამაზ და შაჰ-აბაზ I დიდი მოწყალე და პატივის მცემელნი იყვნენ ამ მეფეებისა. ეს ორი მამა შვილი მეფე ძალიან ბრძნულად და ღრმა-პოლიტიკურის მოსაზრებით ექცეოდნენ სპარსეთის ბარბაროსებს და, ამიტომაც, ნაყოფიერად აღნიშნეს ისტორიაში თვისის ხანგრძლივის მეფობის ძვირფასი კვალი...

ლევან მეფეს მეუღლედ ჰყავდა გურიის მთავრის ასული თინათინ, რომელმაც აღაშენა ქ. თელავის ზემოდ ცივ-გომბორის მთაში შესანიშნავი შუა მთის მონასტერი. ლევანმა ააშენა გრემში მშვენიერი და მდიდარი სასახლე, რომლის კვალი და ნანგრევნი ახლაც აჩნია იმ ადგილს, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია ენისელში ავად-მყოფთა ქსენონი. ჩრდილოეთით ამ სასახლისა ყოფილა და ახლაც არის ტაძარი მაღალის სამრეკლოთი, მარიამ ღვთის მშობლის მიძინების სახელზედ აგებული. ყოველ წლის მარიამობას აქ იყრის თავს დღეობაზედ ხალხი სიღნაღისა და თელავის მაზრებიდგან. მოდიან მთიულნიც, ლეკნიც და თათრებიც. ამ ტაძარს ჰქონია წინად თვისი საკუთარი მიწა, რომელიც სასამართლოში მოუგია ერთს კერძო მემამულეს; იგი ეხლა დღეობაზედ მოსულ მოვაჭრეებს ნაჭერ-ნაჭერად უყოფს სავაჭრო კარვების დასადგმელად. აქ მიკიტნები და სხვა წვრილმანი მოვაჭრენი 14 და 15 მარიამობისთვეს ჰყიდიან მრავალ სავაჭრო საქონელს და სასმელ-საჭმელს და მიწის პატრონს საიჯარო ფულს აძლევენ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მიწის პატრონს საიჯარო ფული ამ ორის დღის განმავლობაში რგებია 80, ხან 100 მანათი. წრეულს 40 მანათსაც უნდა დასჯერებულიყო. ეკკლესიასაც, რასაკვირველია, აქვს შემოსავალი. მლოცველები ათევენ ღამეს, მხიარულობენ და ტაძარს შესწირავენ ხოლმე წმინდა სანთელს, ფულს და სხ. ამ უკანასკნელ დროში აქ იმდენად სალოცავად აღარ მოდის ხალხი, როგორც იქვე ეკკლესიის მინდორსა და უზარ-მაზარ ხეების ჩრდილს ქვეშ ვაჭრობისა, ქეიფისა და ლოთობისათვის.

მეორე, გაცილებით უფრო შესანიშნავი ტაძარი დგას სასახლის სამხრეთით, კავკასიის მთის კარგა მანძილზედ გაშორებულ ერთს ბორცვზედ. ამ ტაძარს გარეშემო არტყია დიდი გალავანი და შიგ ციხეა აშენებული, რომლის თავზედ პატარა სამრეკლოა წამოსკუპებული. ამ ციხიდგან ქვეშ მიწაში გათხრილია გრძელი ხვრელი, ქვებით ლამაზად და

...რებს. შემდეგ დიდუბეში საუზმე იქმნება გამართული 600 კაცისათვის. დიდუბიდგან დიდი მთავარი კავკასიის მთავარ მართებლის სასახლეში წაბრძანდება. მ ქუჩებზედ, რომელზედაც მისი უმაღლესობა გაივლის, სახელდობრ, მიხეილისა, ბარიატინსკის ქუჩებსა და გოლოვინის პროსპექტზედ, ადგილობრივ სასწავლებელთა მოსწავლენი იქმნებიან გამწკრივებულნი. მთავარ მართებლის სასახლეში მისი უმაღლესობა დასვენების შემდეგ სადილს მიირთმევს.

ტფილისში ყოფნის დროს მისი უმაღლესობა დაათვალიერებს კადეტთა კორპუსს და სხვა სასწავლებლებს, აგრეთვე ახალს სამხედრო ტაძარს და სახელმწიფო თეატრს.

18 ამა თვეს, 3 საათზედ, მისი უმაღლესობა ტფილისიდგან წაბრძანდება.

*** მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, გუშინ, 16 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, კახეთიდგან ტფილისში დაბრუნდა.

*** 19 სექტემბერს ტფილისში ჩამოვა რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი ინჟენერი გორჩაკოვი. გორჩაკოვს აზრადა აქვს დაათვალიეროს ამიერ-კავკასიის რკინის გზა და აგრეთვე ყარსის რკინის გზა. 21 სექტემბერს გორჩაკოვი ბათომში გაემგზავრება.

*** ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის სატეხნოლოგიო ინსტიტუტის პროფესსორი პ. ვ. კოტურნიცკი, რომელიც აქ ოქტომბრამდი დაჰყოფს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ამ ახლო მომავალში შეუდგება ბორჯომის შტოს სუმბათოვის სადგურის გაფართოვებას.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტფილისის გუბერნიაში 19 ბეითალი გამოჰგზავნა.

*** პეტერბურგის ყრუ-მუნჯთა სასწავლებლის გამგეობამ სთხოვა კავკასიის უმაღლესს მთავრობას გამოუგზავნოს ცნობები ამიერ კავკასიის ყრუ-მუნჯთა მდგომარეობის და იმათ რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ის, თუ რა საშუალებანია მიღებული იმათ სწავლა-განათლებისათვის.

*** კვირას, 13-ს სექტემბერს, ფოთში გარდაიცვალა მდივანი გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიისა ალ. შირიაევი. როგორც გავიგეთ, გარდაცვალებულის მოადგილედ დანიშნავენ იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მდივნის თანაშემწეს ბ-ნს ჩაჩანიძეს.

*** 15 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის მცხოვრებლის, ოქრომჭედლის პავლე ოჰანეზოვისა, იოსებ ზუბიევისა, ივანე და გაბრიელ ხოჯაშვილებისა და სამის სვანისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ: პირველს—ყალბი ვერცხლის ფულის მოჭრა, ხოლო დანარჩენთ—ამ ფულის გასაღება.

სამოსამართლო პალატამ გააუქმა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი გაბრიელ ხოჯაშვილის შესახებ და მიუსაჯა მას 2 თვით დაპატიმრება, ხოლო დანარჩენთა შესახებ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

*** 19 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებით განყოფილების სესსია, რომელიც შესდგება თავმჯდომარის ე. ვ. ჩემესოვისა, წევრის დ. ე. ჩერნიკასა, ბრალმდებლის ამხანაგის ა. ვ. მოსკალოვისა და მდივნის თანაშემწის გ. გ. ბარუტჩევისაგან, ახალქალაქში მიდის საქმეების განსახილველად. სესსია ახალქალაქიდგან ახალციხეში წავა, სადაც 7 ოქტომბრამდე დაჰყოფს.

*** ქუთაისში, რუსულ გაზეთების სიტყვით, აზრადა აქვთ დააარსონ პურის მცხობელთა საზოგადოება.

*** „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართველობისა და ადგილობრივის სამზრუნველო კომიტეტის თანხმობით ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში დაწესდა სწავლის ფასის გარდახდა. თითოეული მოსწავლე ვალდებული იქნება გადიხადოს წელიწადში ათი მანეთი: ხუთი პირველ ოქტომბრამდის და ხუთი პირველ იანვარს. ამავე სასწავლებლის მეორე განყოფილებას წელს მოემატა პარალელი განყოფილება, ამის გამო წელს მოწვეულია ორი მასწავლებელი: პ. სურგულაძე და ი. ნიკოლაიშვილი. სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს. ახალის შენობის ყველა ოთახები არ არის ჯერ მზად, ამიტომ ოთხი პროგიმნაზიული კლასი ამ თვის ბოლომდის ისევ ძველს შენობაში დარჩება, ხოლო მოსამზადებელი კლასები ახალ შენობაში მოთავსდება.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ „ახ. მიმ.“ სიტყვით, ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ შტატს გარეშე მყოფ ბეითლებს ჯამაგირი მოემატოთ.

*** გაზ. "Чер. В."-ის სიტყვით, 12 სექტემბერს ქ. ბათუმში მიბრძანდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. ნავთ-სადგურზედ ყოვლად სამღვდელოს მიეგებნენ სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი და სამღვდელოება. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 13 სექტემბერს სწირა მართლ-მადიდებელთა ტაძარში, ხოლო 14-ს—ბერძენთა ეკკლესიაში. ყოვლად სამღვდელომ ბათუმის ეკკლესიათა საქმეების რევიზია მოახდინა.

*** ქუთაისი. ამ ერთის კვირის წინად ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენელნი, მაზრის მარშალი თ. დ. ო. ნიჟარაძე, ქალაქის მოურავი ბ-ნი ლოლუა ორის ხმოსნითურთ და სათავად აზნაურო ბანკის თავმჯდომარე ბ-ნი კ. ჩიკვაიძე მივიდნენ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწეს ბ-ნ ზავადსკისთან და სთხოვეს, ეშუამდგომლა სადაც ჯერ არს, რათა ბ-ნ ჯორჯიკიას კერძო სასწავლებელს მისცემოდა სახელმწიფო პროგიმნაზიის უფლებანი. ბ-ნ ზავადსკიმ მოისმინა ეს თხოვნა და შემდეგი პასუხი მისცა მათ: შეუძლებელია ამისთანა უფლებანი მიეცეს კერძო სასწავლებელსაო. მთელს იმპერიაში მხოლოდ ორი მაგალითია ამისთანა, ისიც სატახტო ქალაქებშიო. იქ ეს უფლებანი მიეცათ კერძო სასწავლებლებს მაშინ, როცა მათმა დამაარსებლებმა მთელი რვა-კლასიანი გიმნაზია დააარსეს; შემდეგ სწავლა იქ კარგად წაიყვანეს და ამით დაამტკიცეს, რომ ის სასწავლებლები ღირსი იყო ამ უფლებისა. თქვენც ასე მოიქეცით. რადგან კერძო კაცს არა აქვს საკმაო საშუალება, უმჯობესი იქმნება შეერთდეს ქალაქი, თავად-აზნაურობა და სხვა წოდება და შეერთებულის ძალით დაარსდეს მთელი გიმნაზია. როცა ეს გიმნაზია თავისის არსებობით დაამტკიცებს, რომ იგი ღირსია უფლებისა, მაშინ მთავრობა თავისის მხრივ საშუალებასაც დაუმატებს და უფლებასაც მიანიჭებსო.

*** ქალაქის საყასბოში სამიკროსკოპიო სადგური მუშაობას პირველ ოქტომბრიდგან დაიწყებს.

*** სიღნაღიდგან ახლად ჩამოსულმა, თავ. ა. გ. ვაჩნაძემ გამოუცხადა პოლიციას, რომ 13 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, კოჩორიანცის სახლის მახლობლად მუშა დავიქირავე, ჩავაბარე ხურჯინი, ჩამადანი, რომელშიაც 100 მანეთის ნივთები მეწყო, უთხარი, უკან გამომყევი მეთქი და „ვენეციის“ სასტუმროსაკენ გავემართე. მაგრამ არ გამევლია რამდენიმე ნაბიჯი, რომ მუშა ავეჯით სადღაც გაქრაო. პოლიცია უკვე შეუდგა ქურდის ძებნას.

## წერილი იმერეთიდგან

დადგა აგვისტოს უკანასკნელი რიცხვები—დრო სწავლის მხრივ მოსწავლეთა გამოცდისა და ქუთაისსაც ძველებურზედ გაცილებით მეტი მოსწავლე და იმათი მშობლები მოაწყდა. თითქმის დაცალიერებული ქალაქი ხალხით გაივსო, დუქნები და სასტუმროები მომსვლელებით გაიჭედა. სასწავლებლების ეზოები მთხოვნელებით სავსეა. ყველგან ერთი და იგივე საგანი გამხდარა სალაპარაკოდ: „მთხოვნელი ბევრია და ადგილი ცოტაო“. მართლაც, აქ ყოველ ერთის ადგილის მთხოვნელი სამი იყო. ამ სასწავლებლის კარებზედ უიმედოდ მიმდგართა რიცხვი შესამჩნევად ჰმატულობს, მაგრამ, საუბედუროდ, ქუთაისში სასწავლებელთა რიცხვი მეტად მცირეა. ეს სიმცირე ეტყობა არა მარტო ქუთაისს, არამედ იმერეთის ყველა ქალაქს. მაგალითად, ხონის ნორმალურ სასწავლებლის პირველ განყოფილებაში მთხოვნელთა რიცხვი 119 აღემატებაო და ადგილი-კი 35 იყო. იქავე სამასწავლებლო სემინარიაში 10 ადგილისა 48 მთხოვნელი იყო. ამ გვარადვეა სხვა სასწავლებლებში. თუმცა ახალი გიმნაზია დაარსდა შარშან ბათუმში, მაინც ქუთაისის გიმნაზიას მთხოვნელთა რიცხვი ეგზამენ გარდახდილთა, მაგრამ მიუღებელთა რიცხვს ძლიერ კარგად შეუძლიან შეავსოს კიდევ ერთის ახალის გიმნაზიის პირველი კლასი.

---

მაგრად გამოკეთებული, რომლის ბოლო ჩადის მდ. ინწობის პირზედ, საიდგანაც აჰქონდათ, ალბად, სასმელი წყალი ციხეში შეხიზნულთ მტრის თავზედ დასხმის დროს. ეს მშვენიერი ტაძარი ლევანს და დედოფალს თინათინს აღუშენებიათ მთავარ ანგელოზის სახელობაზედ და თითონაც შიგვე ასაფლავიან.

ლევან მეფის სასახლის ახლოს, ჩრდილოეთით, არის აგრეთვე აბანოების აუზები, სადაც ნაფარეულის მთებიდგან გამოყვანილ მილებში მოდიოდა მთის ანკარა წყაროს წყალი.

კარგი დედ-მამის, ლევანისა და თინათინის შვილის ალექსანდრე II მეფობის დროსაც კახეთი დიდად გამდიდრდა, განათლდა და აღყვავდა. „შემდგომად შაჰ თამაზის სიკვდილისა, ამბობს ჩვენი მატიანე, იყო ალექსანდრე მშვიდობით, რამეთუ ჟამსა ამასა ესრეთ აშენებულ იყო კახეთი ვითარ ძნიად სადმე იპოვებოდა სახლდიკონი მცლადი“ (ქართ. ცხ. ნაწ. II, გვ. 120).

ალექსანდრე II დროს გრემი უფრო ძლიერ გამდიდრდა და გადიდდა. ხალხის თქმულებით, ამ ქალაქს თავისის გალავან-ციხეებით სამი ვერსის სიშორეზე მიმდინარე ალაზანში ჰქონდა ფეხი ჩადგმულიო. მაგრამ ეს დაუჯერებელი ამბავი უნდა იყოს, რადგან ამოდენა ქალაქი იმ დროისათვის ყოვლად წარმოუდგენელია საქართველოში. რაც უნდა იყვეს, ის კი ცხადია, რომ ქალაქი გრემი, მართლაც, ძლიერ მდიდარი ქალაქი ყოფილა იმ დროის პირობაზე. ამას ამტკიცებს, როგორც ეკკლესიების ურიცხვი ნანგრევები, ისე ციხე-გალავანნი, კოშკნი, ნანგრევნი დიდ-დიდ სავაჭრო სახლებისა და ქარვასლებისა, სასახლისა და აბანოებისა...

21 მარიამობისთვეს სოფ. ენისელში მოვიდნენ ბ-ნ რომანოზ ფანცხავასთან საქართველოს ეკკლესიებისა და მონასტრების სიძველეთა და ნაშთთა დამთვალიერებელნი ბ-ნნი ექვთიმე თაყაიშვილი და არისტო ქუთათელაძე. ესენი პირველად იყვნენ ტფილისიდგან ქ. თელავში 17 მარიამობისთვეს თ. დ. ერმილე ნაკაშიძესთან და მაშინვე შეუდგნენ თელავის ძველის დროის ეკკლესიებისა და ხატების დათვალიერებას. მეორე დღეს დაათვალიერეს შუამთის მონასტერი, იქიდგან სოფ. იყალთოში თეთრის გიორგის ტაძარი განიხილეს და მერე გაემართნენ სოფ. ქისტაურში. იქ ძველის ნაშთების დათვალიერების შემდეგ ჩამოვიდნენ ალავერდში, სადაც განიხილეს ღირსშესანიშნავი მონასტერი და მისი მხატვრობანი. იქიდგან გამოვლეს მდ. ალაზანი (ფონია) და განიხილეს ალაზნის მარცხენა ნაპირზედ მდებარე თამარ მეფის მიერ აღშენებული ალავანის სამების ეკკლესია.

22 მარიამობისთვეს გათენებისათანავე ეტლით გაუდგნენ გზას, რომ სოფ. გრემისა და ენისლის ადგილმდებარეობა დაეთვალიერებინათ. ჰნახეს ლევან მეფის სასახლის ადგილმდებარეობა და ნანგრევნი, აბანოების მინგრეულ მონგრეული აუზები, მარიამ ღვთის-მშობლის მიძინების სახელზე აგებული ეკკლესია, სამრეკლო, ზარები და დილითვე საათის $8^1/_2$-ზე შეუდგნენ მთავარ ანგელოზის შვენიერის ტაძარის დაწვრილებით განხილვას.

ზევით ვთქვით, მთავარ ანგელოზის ეკკლესია ლევან მეფის აშენებულია-თქო და საკმაოდ მაღალი გუმბათიანი და დიდი შენობაცაა. შენობის აგების დროს სხვა და სხვა ფერის ქვაც უხმარიათ, მაგრამ მომეტებული ნაწილი მასალისა-აგურია. შიგნით იატაკი ქვით არის მოფენილი. ეკკლესიას ორი დიდი სვეტი აქვს. როგორც ეს სვეტები, ისე მთლად კედლებიც მსოფლიო ეკკლესიისა და ივერიის წმიდანების ნახატით არის სავსე. ეკკლესიას ვიწრო და გრძელი ფანჯრები აქვს. ნახატებს აწერია ბერძნულად და ქარაგმულის ასო-მთავრულით. ყველა წმიდანის ნახატის წარწერა ჩინებულად გაარჩიეს. დასავლეთისა და სამხრეთის კარებს შორის არის საფლავი ლევან მეფისა და იმის მეუღლის, დედოფლის თინათინის. იქვე კედელზედ მშვენივრად არის გამოხატული მეფეც და დედოფალიც. ლევან მეფეს ხელში უჭირავს დიდი ტაძრის ნახატი, ალბად, ეგევე მთავარ ანგელოზის ეკკლესიის ნახატია. ტრაპეზში სდგას ლევან მეფის დიდი სავარძელი, ხისაგან დიდის ხელოვნებით გაკეთებული. გასინჯეს აგრეთვე დაფარნაც, რომელიც ამ ტაძრისათვის შემოუწირავს იოსებ ტფილელს.

ეკკლესია 80-იან წლებში შეუკეთებიათ, ალაგ-ალაგ შეუთეთრებიათ კიდეც ენისელებს და დიდმარხვაში წირვა-ლოცვაც არის ხოლმე აქ. ძალიან საწყენია, რომ კედლები და სვეტები ზოგან უშნოდ თეთრად შეთითხნილია, რადგან მხატვრობა ზოგან სრულად წაშლილა. ასე გასინჯეთ, ვიღაც სამხედრო წოდების კაცთ, რომელთა გვარებს ჩვენ არ მოვიხსენიებთ, მარტო ზრდილობისათვის, თვისი სახელი და გვარი წარუწერიათ კედლებზედ და იქვე უმატებენ ამა და ამ წელს „былъ въ семъ храмѣ“-ო. იქვე ახლოს, სამხრეთით, ამ ეკკლესიას მაღალი და დიდი ციხე უძევს, რომლის თავზე სამრეკლოა. ერთი ზარი ნეკრესელს შემოუწირავს.

მთავარ ანგელოზის ტაძრის განხილვის შემდეგ, გავსწიეთ მთაში, სადაც, როგორც გვითხრეს, ტაძარიც არის, ციხე-გალავანი, ქვევრებიც ბევრია და წარწერაც არისო. შევუდექით ამ უშველებელ აღმართს, რომელიც სამი ვერსის მანძილზე არის, გზის ნატამალიც არ არის. ვიარეთ ტყე-ტყე ქაცვნარში და მივატანეთ ციხე-კოშკს და გალავანს. ციხე მაღალია და ალაზნის მხრიდან აყვანილს ქვითკირის კიბის საფეხურებს ავყევით. სამწუხაროდ, წარწერა არსად აღმოჩნდა. ტაძარს დასავლეთისაკენ ერთი კარი აქვს ღია, საიდანაც მიმინოს ტოლა ღამურები გამოფრინდნენ. არის ქვევრებიც, რომელშიაც, როგორც ვფიქრობ, ალბად საზედაშე ღვინოს ინახავდნენ, წყალს და, შეიძლება, პურსაც, რადგან აქ, მთაზედ წყალი არ არის და ურმებით თუ ეზიდებოდნენ ინწობიდგან, რომ მერე მტერს ვერაფერი დაეკლო. დიდი საურმე ნაგზაური ახლაც არის ამ მთაზედ. ეს გზა შაქრიანის ტყისაკენ ყოფილა გაყვანილი.

მთის ძირში სულ თორმეტი ეკკლესია აღმოჩნდა, რომელთა შორის შესანიშნავია მაღალ-გალავანში მოთავსებული თლილის ქვის ტაძარი, რომელსაც დასავლეთის კარების მაღლა დიდ და პრტყელ ქვაზედ აქვს წარწერა სამს ენაზედ: სპარსულად, ქართულად და, ბოლოს, სომხურადაც. ტაძარი, როგორც სთქვეს, გუმბათიანი ყოფილა, მაგრამ ახლა თავ გადაგლეჯილია. ეს ტაძარი ახლა თ. სიდამონოვ ერისთვის მიწა-წყალზედ დგას. ეს ტაძარი უშენებია ალექსანდრე მეფეს.

გულკეთილი

ბი. ამას თუ კიდევ რეალურ სასწავლებლისა და კერძო პროგიმნაზიებში არ მიღებულ ყმაწვილთა რიცხვს მიუმატებთ, ხომ მეტზედ მეტიც გამოვა... ამის გამო მეტად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ხონელების განზრახვა გიმნაზიის დაარსების შესახებ. იმედია, საერო განათლების სამინისტრო მარტო ნება-რთვას არ აკმარებს ამ კეთილ, მეტად საჭირო საქმეს და სხვაფრივაც აღმოუჩენს დახმარებას.

თითქმის ორი წელიწადია, რაც ქართულს გაზეთებში გაისმოდა და გაისმის გოდება, რომ ხონ-ქუთაისის გზა გაფუჭებულია, არ ვარგა ეტლების სასიარულოდაო, მაგრამ ეს გოდება აქამდე დარჩენილია „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. გზა ისევ ძველებურს მდგომარეობაშია, თუ უარესში არა. ზედ მავალთა რიცხვი დღითი დღე ჰმატულობს და თვით გზა-კი თანდათან ფუჭდება. მდ. ოღასკურა ისევ ძველებურად თავის ნებაზეა დატოვებული და სურვილისამებრ ათვალიერებს რამდენისამე ვერსის სიგრძეზედ ამ გზასა და მაღლაკელთა კარ-მიდამოებს. ამას კიდევ გავუძლებდით, დარში მაინც რომ ვარგოდეს გზა, რამდენისამე ვერსის მანძილზედ მეეტლეები იძულებულნი არიან გაფაციცებით ადევნონ თვალ-ყური ცხენებს, რომ ფეხი არ მოიტეხოს და ან სხვა რაიმე უბედურება არ შეემთხვას.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გუბისწყლის ხიდი. უკვე წელიწადი გადის, რაც იგი დააქციეს, მაგრამ შეკეთება-კი არაფერი ეშველა. მგზავრი იძულებულია ძველის, დამსხვრეულის ბორანით გავიდ-გამოვიდეს. ამ ბორანმა თუმცა კარგა ხანია შეასრულა სამსახურის ვადა, მაგრამ მაინც ამაყად დაჰქანაობს გუბის წყლის ნელს ზვირთებზედ, უცდის მგზავრსა და ახდევინებს იმოდენს, რაც გარდაეხდევინება. ეხლა ხიდის კეთების დაწყებას აპირებენ. ხეები მოიტანეს, მაგრამ ინჟენერმა დაიწუნა; ახლები-კი არსად მოსჩანს. მგონი ამასობაში დავიზამთრდეს და ისევ უხიდოდ დავრჩეთ.

სიმინდს აქეთ სიხმელე უკვე შეეტყო და ყურძენიც თანდათან მწიფდება. ამ სამის კვირის შემდეგ რთველი ყოველგან დაწყებული იქმნება.

შავია—დია

## რუსეთი

„Рус. Лист.“-ის სიტყვით, უწმ. სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომ რუსეთის ყველა სასულიერო სემენარიებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საეკლესიო გალობის სწავლის საქმეს.

— სამთაო დეპარტამენტს, გაზ. „С. О.“-ს სიტყვით, აზრადა აქვს შიდა რუსეთის ერთ ერთ სამხრეთ გუბერნიაში დააარსოს ორი დიდი—ერთი ფოლადისა და მეორე რელსების მკეთებელი—ქარხანა.

— „Рус. Лист.“-ი იუწყება, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ ჟამად ბევრსა ცდილობს, რათა ამერიკული ვაზი გავრცელდეს რუსეთის იმ ადგილებში, სადაც მევენახობას მისდევენო. ამ აზრით სამინისტრომ გარდასწყვიტა დააარსოს რამდენიმე ახალი სანერგე ამერიკულის ვაზისა არა მარტო კავკასიაში, არამედ ბესარაბიის და ტავრიდის გუბერნიებშიაცაო.

— ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიაში ახალი დაბალი სასწავლებლები, სადაც მოსწავლეებს ანგარიშს ასწავლიან.

— ამას წინად ვწერდით, რომ მომავალ წელს პეტერბურგში ხელოსანთა ნაწარმოების გამოფენის გამართვას აპირებენო. ეხლა გაზეთი „Пет. Вѣд.“-ი იუწყება, აზრადა აქვთ ამ გამოფენის დროს ხელოსანთა საზოგადო კრება მოახდინონ პეტერბურგშიო. კრებაზედ განხილული იქმნება ისეთი საგნები, რომელნიც ხელოსანთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობასა და იმათის ხელობის განვითარებას შეეხება, როგორც, მაგალითად, ხელოსანთა შვილების სწავლა-განათლების საქმის მოწყობა, ხელოსანთა სამზრუნველოების დაარსება და სხვ.

— მიწად-მოქმედების სამინისტროში, იმავე გაზეთის სიტყვით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ახალი სატეხნიკო-სამუსიკო სკოლები. ამ სკოლებში მოსწავლეთ ასწავლიან სხვა-და-სხვა საკრავების მომზადება-გაკეთებას.

— გაზ. „СВѢТЪ“-ის სიტყვით, გზათა მინისტრმა უბრძანა რკინის გზათა დეპარტამენტს მიანდოს მან რკინის გზათა წარმომადგენელების მომავალ კრებას, რომ ამ კრებამ შეიმუშაოს ისეთი ღონისძიებანი, რომელთა შემწეობითაც ადვილად შეიძლებოდეს რკინის გზებზედ მოგზაურთა მიერ დაკარგულის ნივთების მოძებნა-პოვნა.

— ამას წინად ვარშავის ერთს მომრიგებელ მოსამართლეს განუხილავს ერთი საქმე, რომელიც მომჩივარისათვისაც და მოპასუხისთვისაც ძალიან კარგად დაბოლოვებულა. სახლის პატრონს, ქ-ნ ბ.—ს, ქვრივს, მოსამართლესთვის მიუმართავს და უჩივლია ერთის თავის მდგმურისათვის. სჩივრის ქაღალდში ქვრივს განუცხადებია, მდგმური ერთხელ ძალიან გვიან დაბრუნდა სახლში და როდესაც ამის გამო კუსაყვედურე, იმან ლანძღვა-გინებით და უშვერის სიტყვებით მომმართა, ცემაც-კი დამიპირაო. ბრალდებულს უთქვამს, რომ იმ დროს მთვრალი ვიყავი და იმიტომ მოვქცეულვარ ასე, თორემ ქ-ნი ბ.—ს ძალიან პატივსა ვცემ, მიყვარს კიდეც და მზადაცა ვარ ცოლად შევირთოო. მოსამართლეს საქმე მოუსპია, რადგანაც ქ-ნს ბ.-ს თავის მდგმურის წინადადება სიხარულით მიუღია და სასამართლოშივე იმის ცოლობაზედ თანხმობა განუცხადებია.

— მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ ოლგა პალემი, რომელმაც ამ რამდენისამე წლის წინად სტუდენტი დოვნარი მოჰკლა და იმ დროს მთელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადოება აალაპარაკა. აი, რასა სწერს ეხლა ამ ოლგა პალემის შესახებ გაზ. „Пет. Л.“-ის კორესპონდენტი: „როგორც უწყით, ოლგა პალემი ჯერ პეტერბურგის სატუსაღოში დაპატიმრეს, შემდეგ სტარო რუსში გადაიყვანეს. როდესაც საპატიმროდგან განათავისუფლეს, პალემი ოდესაში წავიდა, სადაც სიყმაწვილე გაატარებინა და წინად ბევრი თაყვანის-მცემლები ჰყოლოდა. ერთს ამ თაყვანისმცემელთაგანს პალემის მიმართ სიყვარული ჯერ კიდევ უღვიოდა გულში და ამიტომ ქალის მოსვლას სიხარულით მიეგება. საქმე იქამდის მივიდა, რომ ყმაწვილმა სთხოვა პალემს ცოლად გამომყევითო. პალემმა თანხმობა განაცხადა და მალე ჯვარიც დაიწერეს. პალემის ქმარი მდიდარი კაცია. ჯვარის დაწერის შემდეგ სამსახურს თავი გაანება და საზღვარ გარეთ წავიდა ცოლითურთ.“

## უცხოეთი

**ინგლისი.** ევროპის ჟურნალ-გაზეთების, უფრო-კი—ინგლისისა და საფრანგეთისა, სალაპარაკოდ დღეს ერთი პატარა ადგილი გარდაიქცა, რომელსაც ფაშოდა ეწოდება და რომელიც მდებარეობს საშუალო აფრიკაში, მდინარე ნილოსის სათავის მახლობლად. ფაშოდას თავისი მდებარეობით ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია, რომ ამის გულისათვის, გაზეთების სიტყვით, ლამის ომი აუტეხეთ ერთმანეთს შორის ინგლისსა და საფრანგეთს. აი საქმე როგორ არის: ხართუმის (ეგვიპტის სამხრეთისაკენ არის) დაპყრობის შემდეგ, ინგლისის ჯარის უფროსმა გენერალმა კიჩენერმა სამხრეთისაკენ გაილაშქრა ფაშოდის დასაჭერად, მაგრამ სურვილი არ შეუსრულდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ეს ადგილი თურმე მაზედ ადრე საფრანგეთის აფიცერს მარშანს დაეჭირა, ჯარი ჩაეყენებინა შიგ და საფრანგეთის დროშაც აღემართა. ეს ის მარშანია, რომლის შესახებ წარსულს წელში ხმა გავრცელდა, რომ თავისის მცირე რაზმით სადღაც დაიღუპაო. მაგრამ, ეხლა როგორც სჩანს, კი არ დაღუპულა, არამედ მარჯვედ შეუსრულებია ის მიზანი, რისთვისაც ის გაგზავნილი იყო თავისის მთავრობის მიერ. ამ აფიცერს, რომელიც ატლანტიის ოკეანეს ნაპირიდგან გავიდა, გაუვლია კონგო და უბანგი, მიუღწევია ნილოსის სათავემდე და, როგორც ვხედავთ, ფაშოდაში თავისი რაზმი ჩაუყენებია საფრანგეთის სახელით. ფაშოდა აღმოსავლეთ აფრიკის, უგანდის და სუდანის შუაშია. თუ ეს ადგილი საფრანგეთის ხელში დარჩა, მაშინ ამ უკანასკნელს გზა გახსნილი ექმნება მდინარე ნილოსის საშუალებით კონგოდგან აღმოსავლეთ აფრიკის თავის სამფლობელოსაკენ. ამ ნაირად ინგლისელებს აღარ უმართლდებათ ის თავისი გულის წადილი, რომ ალექსანდრიიდგან მოყოლებული კაპის კონცხამდე აფრიკა ჩვენი სამფლობელო უნდა გახდესო.

რაღა თქმა უნდა, ამ გარემოებას ინგლისელები მოთმინებიდგან გამოჰყავს. როგორ გაჰბედა ვიღაც მარშანმა ფაშოდას დაჭერაო? გაიძახიან ინგლისის გაზეთები. ეს ადგილი დიდი ხანია მიტოვებული იყო მისი მფლობელებისაგან და ჩვენ გვეკუთვნისო. მარშანმა ფაშოდა ეხლავე უნდა მიატოვოს და ჯარიც გაიყვანოს იქიდგან; ხოლო თუ ამას არ იზამს, ძალათ უნდა გავაძევოთ იქიდგანაო.

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა რამოდენიმე ხანს არას ამბობდა ამ საგნის შესახებ, მაგრამ ეხლა იმანაც ხმა აიმაღლა და ინგლისის მუქარას მუქარითვე შეუტია. ტყუილად უქადის ინგლისი მარშანს, როგორც კერძო კაცსაო, ასე ამბობს საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა. იგი საფრანგეთის აფიცერია და მისის მინდობილებით მოქმედებდაო. ამიტომ ინგლისის მუქარა მარშანის მიმართ საფრანგეთს შეეხება და საფრანგეთი გასცემს მას პასუხს, თუ ამ უკანასკნელმა მარშანის წინააღმდეგ რაიმე ზომები იხმარაო.

—

**საფრანგეთი.** რამდენი დღეც გადის, დრეიფუსის საქმე თანდათან უფრო აღელვებს საფრანგეთის საზოგადოებას. ზოგი რას ამბობს ამ საქმის შესახებ და ზოგი რას. როგორც ერთი გაზეთი მოგვითხრობს, კითომც იუსტიციის მინისტრს სარიენს ეთქვას ერთის თავის მეგობრისათვის, რომ რაც უფრო ვუკვირდები დრეიფუსის საქმეს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მოღალატე ნამდვილად იყო ვინმე, მაგრამ ეს მოღალატე დრეიფუსი არ უნდა ყოფილიყოო.

პასტის დეპუტატს ლაზის წერილი გაუგზავნია რესპუბლიკის პრეზიდენტის ფელიქს ფორისათვის და შემდეგი უთხოვნია: „მე მრწამს თქვენი სიყვარული მამულისადმი. ებრაელებს აზრად აქვთ, თავიანთის მილიონების საშუალებით, საფრანგეთი გერმანიას დაუმონაონ. ნუ გაამარჯვებინებთ მოღალატეთ. მოუწოდეთ ერის წარმომადგენელთ. თქვენი მინისტრები ყველანი მოსყიდულები არიანო“.

საფრანგეთის ცნობილ პატრიოტს დერულედს პატრიოტთა კრება გაუმართავს და წინადადება მიუცია, რომ შეიარაღდით და ნურავის დაზოგავთ, ვინც დრეიფუსის საქმის ხელმეორედ განხილვის მომხრე იქმნებაო.

ერთი სიტყვით, ზოგი იმას გაიძახის, რომ დრეიფუსი უბრალოდ დაისაჯა, სხვების მსხვერპლი გახდა და უთუოდ ხელ-ახლა უნდა განვიხილოთ მისი საქმე, რათა ის გამართლდეს ვითარცა მართალი კაცი, ხოლო ნამდვილი დამნაშავენი დაისაჯონო. ამ რიგად საფრანგეთს ჩირქი მოეწმინდება და მთელის ქვეყნის თვალში პირნათლად გამოვაო. ხოლო სხვები სულ ამის წინააღმდეგს გაიძახიან და ამტკიცებენ, რომ ამ საქმის ხელმეორედ გადასინჯვა საფრანგეთს დაღუპავსო.

როგორც გუშინდელმა დეპეშამ ამბავი მოიტანა, საფრანგეთის მთავრობას უკვე გარდაუწყვეტია დრეიფუსის საქმის გადასინჯვა. ეხლა მაინც შეიძლება ფარდა აეხადოს ამ საქმეს და სიმართლე გამოაშკარავდეს!

## ნარევი

— როგორია სახლი, თბილია ზამთარში?

— მაგისი ნურა გეფიქრებათ-რა, ბატონო, თბილიც არის და მშრალიც.

— მართალს-კი ამბობთ?

— როგორ არ არის თბილი და მშრალი, რომ წელიწადი თორმეტი თვე ბაღლინჯო და ასანოს ჭია ვერ გაგიძღებია, ისე ეტანებიან ამ სახლს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შვეიცარიაში ეხლა აკეთებენ ჯიბის საათებს ფონოგრაფით. ასეთი საათი სწორედ რომ საუცხოვოა. საკმარისია მხოლოდ თითი დააჭიროთ საათის ღილსა და იმ წამსვე იტყვის—რამდენი საათია. არის ისეთი საათიც, რომელიც მძინარეს ეუბნება: „ექვსი საათია, ადექით“. ისეთს საათსაც აკეთებენ, რომელიც ამბობს: „ისევ-კი არ დაიძინო, ადგომის დროა“.

* * *

მკურნალები და მეცნიერნი დარწმუნდნენ, რომ შაქარი ძლიერ ნოყიერი ყოფილა და სასარგებლოც ადამიანისათვის. შაქრის სინოყივრე დაამტკიცა ქალაქ მეცის უფროსმა მკურნალმა ლეიტენს ტორფერმა გერმანიის ჯარის უკანასკნელ ალლუმის დროს. ამ მკურნალმა აარჩია რამდენიმე ჯარის-კაცი, უფრო სუსტის აგებულებისა და რამდენსამე ხნის განმავლობაში თითო კაცს ყოველდღე შვიდსა და ათს ნაჭერ შაქარს აჭმევდა, რომ უფრო კარგად გამოეკვლია და დარწმუნებულიყო, როგორი ზედ-გავლენა ექმნება შაქარს ჯარის-კაცებზე, ამდენივე კაცი აარჩია, რომელთაც შაქარს არ აჭმევდა. დანიშნულ დროს ჯარის-კაცები ასწონეს და აღმოჩნდა, რომ იმ კაცების წონას, რომელთაც შაქარს აჭმევდნენ, გაცილებით მეტი მოჰმატებია, იმ კაცების წონასთან შედარებით, რომელთაც არ აჭმევდნენ შაქარს. ამავე მკურნალს შეუმჩნევია, რომ ვინც შაქარსა სჭამს, წყურვილი ნაკლებად აწუხებს, თუ გინდა დიდი სიცხეც იყოს. საზოგადოდ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ შაქარი, როგორც მარილი, ადამიანს აწყურვებსო, მაგრამ ეხლა დამტკიცდა, რომ თუ კაცმა ბევრი შაქარი სჭამა, წყურვილი ისე აღარ შეაწუხებს. მკურნალი ლეიტენს ტორფერი თამამად ამტკიცებს, რომ ჯარის კაცებს უეჭველად შაქარი უნდა აძლიონ, როდესაც ჯარს სადმე შორს ჰგზავნიან.

## კიდევ სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესახებ

დიდებული და უმშვენიერესი ტაძარი სვეტი-ცხოვლისა კაცმა რომ საკმარისად გაიცნოს, საჭიროა იმისთვის მთელი თვისი ცხოვრება მის საიდუმლოებით მოცულს კედლებშუა დალიოს და ამ კითხვა-ძიებას შესწიროს მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე.

სვეტი-ცხოვლის ტაძრის კარ-ბჭეს მარჯვნივ კედელზედ შერჩენილი აქვს შემდეგის შინაარსის წარწერა: „ბაგრატიონთა:. მე:. ბატონი:. კათალიკოზი:. დომენტი:. მიიცვალა:. სექტემბრის:. კბ:. გასულსა:. ქორონიკონსა:. ტნდ:.“

მარცხნივ კარი ბჭეშივე გამოხატულია კედელზედ ჯვარი იმის ნიშნად, რომ იქ წამებულან ქრისტეს სჯულისთვის მრავალნი ქართველნი ოსმალთა მეფის ხელით.

თითონ ტაძარში, დიდის ქვის ემბაზის გარდა, დიდის ხალხის მოსანათლავად, არის დღევანდლამდე დაცული მომცრო ქვის ემბაზი ბავშვების მოსანათლავად.

სვეტზედ, რომელიც შემკულია ჩვენის სამშობლო ეკლესიის ისტორიის მოთხრობების სურათებით, არსებობს ასეთი წარწერა: „უფალო:. შენისა:. დიდებისათვის:. ბრძანებითა:. კათალიკოზისა:. ნიკოლოოზისათა:. (წაშლილია) დაცვილმა:. მოქალაქემ:. გულჯვარის:. შვილმან:. გრიგოლ:. სვეტი:. ესე:. რაოდენთა:. აღმოჩხრიკოთ:. (წაშლილია) შენდობა:. ბრძანეთ:. თქვენც:. მოგეტევნეს:. ცოდვანი:.“ საკათალიკოზო კათედრაზედ შემდეგი სწერია: „სვეტო:. ღვთივ-ამაღლებულო:. მეოხ:. გუავ:. დაისამიძეს:. კათალიკოზს:. იოანეს:. რომელმან განვაახლე:. ხარისხი:. ესე:.“

მაცხოვრის ხატს, მაღლა საკურთხეველში დიდად დახატულს და გარეშემო მთავარ-ანგელოზებით და წმიდა მოციქულებით შემკულს, საკურთხევლის კედლებზედ, აქვს შემდეგის შინაარსის წარწერა: „მოსავთა:. შენთა:. დამამტკიცებელო:. ქრისტე:. ღმერთო:. დაამტკიცე:. ეკლესია:. შენი:. რომელი:. მოიყიდენ:. სისხლითა:. შენითა:. წმიდითა:.“

სამკვეთლოს წინ თეთრის მარმარილოს ქვის ქვეშ დაკრძალულია გვამი ნიკოლოოზ კათალიკოზისა.

სალაროში ინახება ერეკლე მეორის

მიერ შემოწირული ოქროს ბარძიმ ფეშხუმი, კარისკვლავი და კოვზი. სალაროშივე ინახება ძველის დროის გარდამოხსნა, რომელთა შორის ერთი საკვირველი მოქმედია, რადგანაც მან, როგორც გარდმოცემა ამბობს, დაახრჩო მავანი წმიდა ნივთის მგმობელი მეფე შაჰ-აბასი და იმუქრებული გაჰხადა იგი, რომ ეს გარდამოხსნა, თაქალთოდ გადაფარებული თავის ცხენზედ, აელო და პატივის და თაყვანისცემით სვეტიცხოველშივე მიესვენებინა.

სალაროშივე ინახება ძველი სამღვდელო შესამოსლები, ფილონები, ენქერი, მთავარ დიაკვნის გინგილა, ქოშები და მრავალი დაფარნა. ერთ მველს გარდამოხსნაზედ სწერია,:, შეწევნითა:. ღვთისათა:. ხელ:. ვყავით:. და:. შევამკევინეთ:. წმიდა:. ესე:. გარდამოხსნა:. ჩვენ:. იოთამ:. ამილახვრის:. შვილმან:. გაბრიელმან:. თანა:. მეცხედრემან:. ჩვენმან:. ქართლ:. ხელმწიფის:. შანავაზის:. მეფის:. ასულმან:. ბატონმან:. ცოდვათა:. ჩვენთა:. შესანდობლად:. და:. მეთა:. ჩვენთა:. ტფი:. მეუფელო:. უოვლეთაო:. რომელმან:. ჯერ:. იჩინე:. შენთასა:. მრევლითა:. მომტევებელთა:. და:. ფრიადითა:. სამადლობელად:. ხორც:. შემოსილსა:. ვითარცა:. კაცმან:. და:. შენ. ხარ:. მე:. ღვთისა:. მხოლოდ:. შობილი:. მამისაგან:. და:. თანასწორი:. სულითა:. წმიდითურთ:. გნებითა:. დაითმინე:. ჯვარცმა:. და:. გვიხსნა:. ჯოჯოხეთისა:. მიერ:. და:. შეგვიყვანა:. ვითარცა:. მკვდარი:. დაითვლა:. რათა:. აღადგინოს:. მკვდარნი:. საუკუნიდგან:. უკუნისამდე:.“ გარდამოხსენს ნამდვილი ქართული ლეგენდა აქვს. მაგალითად, წმიდა მოციქულები და სხვა წმიდანები გარდამოხსნებზედ ნამდვილის ქართველის კაცის სახით არის გამოყვანილები.

განგილაზედ არის წარწერა: „ქი:. მოიხსენე:. უფალო:- ბატონიშვილი:. ლევან:. და:. თანა:. მეცხედრე:. ჩვენი:. სალომე:. კურთხეულის:. გურიელის:. ასული:. ბატონიშვილი:. თუთა:. რომელმან:. შემოგწირეთ:. ოლარი:. ესე:. სამარხსა:. და:. სასაფლაოსა:. ჩვენსა:. სვეტსა:. ცხოველსა:. ვინც:. გამოსწიროს:. იგიც:. რისხავს:“

სამს დაფარნაზედ ერთნაირი წარწერაა შემდეგის მინაარსისა:. „ტი:. უფალო:. მოიხსენე:. ბატონიშვილი:. ლევან:. და:. თანა:. მეცხედრე:. სალომე:. კურთხეული:. გურიელის:. ასული:, ბატონიშვილი:. ჩვენ:. შევწირეთ:. ბერქილი:. ესე:. სამარხსა:. და:. საფლავსა:. ჩვენსა:. სვეტი:. ცხოველსა:. ცოდვათა:. ჩვენთა:. შესანდობლად:. ვინც:. გამოსწიროს:. იგიც:. რისხავს:.“

კიდევ სხვა დაფარნაზედ სწერია:. „მამათ:. მისაო:. და:. სულო:. წმინდაო:. შეიწყალე:. უკვდავო:. ცოდვილი:. მეხრახის:. ბატონის:. შვილის:. შვილი:. ბატონი:. კათალიკოზი:. დომენტი:. და:. და:- ჩემი:. დედის:. იმედი:. ჩვენ:. შემოვწირეთ:. ბარძიმის:. ბარკელი:. სულისა:. ჩვენისა:. საოხად:. სრულიად:. და:. ცოდვათა:. ჩვენთა:. შესანდობლად:. რომელი:. ამით:. წმიდას:. საიდუმლოს:. მეოხად:. პირველ:. მოგვიხსენიებდით:.“

ენქერზედ ასეთი წარწერაა: „მოიხსენე:. უფალო:. დადიანის:. ასული:. მარიამ:.“ ერთს გარდამოხსნაზედ კიდევ დედოფლის დასტური, სხვათა

შორის, გარდამოხსნის ნაპირზედ წარწერით. გარდამოხსნაზედ გავარჩიე ეს სიტყვები: „ქორონიკონსა:. ლ:. ოქტომბრის:. დ:. ოთხშაბათს:. დღესა:.“

ეს უცნაური ჰმოწმობს ქართველთა დიდს ღვთის მოყვარეობას, ქართველის დედის მშვენიერ ხელ-საქმის ცოდნას. საღმრთო შესამოსლებზედ მრავალი ლოცვაა ჩაწერილი, ქართველთ დედის თითებით მოქსოვილი ასოებით გამოყვანილი. ესრედ ჰზრუნავდნენ უწინ დედანი საქართველოში ეთილისა და საშვილიშვილო საქმისათვის!

მღვდელი პლატონ ხუროშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 სექტემბერი

**ლონდონი.** როდესაც კიჩინერმა მიაღწია ფაშოდას, ჰნახა, რომ მარშანის მიერ საფრანგეთის დროშა იყო ამართული. კიჩინერმა გამოუცხადა მარშანს რომ ვითარცა ეგვიპტეს ჯარის მთავარ სარდალი ვალდებული ვარ დავიჭირო ფაშოდა, რომელიც ხედივის უფლების ქვეშ არისო, არავითარი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედება არ მომხდარა, მაგრამ მარშანმა გადაჭრილი უარი განაცხადა საფრანგეთის დროშის ჩამოხსნაზე. ამიტომ ეხლა ფაშოდაში სამი დროშაა ამართული, ბრიტანიისა, საფრანგეთისა და ეგვიპტესი. კიჩინერმა დასტოვა ფაშოდაში ბრიტანიის ჯარი და დაბრუნდა ობდურმანში. ფაშოდას შესახებ მოლაპარაკება პარიჟში სწარმოებს.

**ანდერმატი** ეკრედ წოდებულ ეშმაკის ხიდთან რუსეთის ძეგლის კურთხევა დიდს დღესა წაულად გარდაიქცა. ამ ამბავს მრავალი ხალხი დაესწრო. ძეგლს შემდეგი წარწერა აქვს: „გენერალ-ფელდმარშალის თანა მეომარი, 1799 წელს გარდაცვლილთა, ალპიის მთეზე გადასვლის დროს.

**ლონდონი.** გაზეთმა „Dailu NeWs“-მა დაიწყო ბეჭდვა წერილებისა, სათაურით „დრეიფუსის საქმის ნამდვილი მხარე“. ავტორი, რომელსაც ხელთ ჰქონია საბუთები, შემდეგს ამბობს კიზიმირ პერიეს სამსახურიდგან გადადგომის შესახებ. 1894 წელს, დეკემბრის შუა რიცხვებში გერმანიის ელჩმა გრაფმა მიუნსტერმა გაუგზავნა იმპერატორს მოხსენება დრეიფუსის საქმის შესახებ. მოხსენება დაიჭირეს საფრანგეთის საზღვრებში და თუმცა კონვერტი არ გახსნილა, მაგრამ საიდუმლო სინათლის შემწეობით მოხსენების სურათი იქმნა გადაღებული ფოტოგრაფიით. ამ მოხსენების შინაარსი შეატყობინეს საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. რამდენსამე დღის შემდეგ ეს ამბავი შეატყობინეს ბერლინში. მიუნსტერს ბრძანება მოუვიდა პასპორტები მოითხოვეს. ამიტომ მიუნსტერი 1895 წლის 1 იანვარს მივიდა ელისეს სასახლეში. პერიემ არაფერი იცოდა, სთქვა, მე აქ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ყოველ გვარ ღონის ძიებას მოვიხმარებ, რომ ამ გვარი ამბავი აღარ მოხდესო. მიუნსტერი სცდილობდა, რომ იმპერატორი დაკმაყოფილებული ყოფილიყო ამ განმარტებით და იმავე საღამოს შეატყობინა იმპერატორს ამ ლაპარაკის შინაარსი. ეს მოხსენებაც ხელთ იგდეს და ფოტოგრაფიით გადიღეს. 12 იანვარს მიუნსტერი მივიდა ელისეს სასახლეში და განაცხადა, რომ გერმანია იმ წამსვე საომარ ფეხზე დააყენებს თავისს ჯარს, თუ დაუყოვნებლივ არ იქმნა დაკმაყოფილებული. პერიემ სთხოვა, გადაეცით იმპერატორს, რომ მე თითონ დავაკმაყოფილებ იმპერატორს სამსახურიდგან გადადგომით, რათა ამ გვარად უარ ვყო ასეთი საძრახისი საქციელი ამით აიხსნება შემდეგი სიტყვები პრეზიდენტისა: „ვანებებ რა თავს ჩემს თანამდებობას, ამით იქმნება დავანახვო მათ, ვინც მოვალეა იზრუნოს საფრანგეთის კეთილ სახელისა და პატივცემის დაცვისათვის მთელის ქვეყნის წინაშე, რაში მდგომარეობს იმათი ვალი.

**პეკინი** გამოცხადებულ იქმნა ბრძანება, რომლითაც გაუქმებულია იმპერატორის უკანასკნელი რეფორმები.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში, რომელიც ფორის თავმჯდომარეობით მოხდა, სარიენმა წაიკითხა წერილი, რომლითაც სთხოვს მთავარ-პროკურორსა და საკასაციო სასამართლოს ხელ-მეორედ იქმნას განხილული დრეიფუსის საქმეო. სარიენმა წაუკითხა აგრეთვე რომელშიაც ნათქვამია, რომ ჯარის წინააღმდეგ ლაპარაკსა და ჯარის გაკიცხვას ბოლო უნდა მოეღოსო.

**პარიჟი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა უარი განაცხადა იმ დელეგაციის მიღებაზე, რომელმაც მოიტანა გარდაწყვეტილება მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა, რომელნიც ერთად შეიკრიბნენ და 130 კაცის სახელით დაადგინეს—სამინისტროს გამოეცხადოს საყვედური და პრეზიდენტს მოვთხოვოთ პარლამენტის მოწოდებაო. მიზეზი დელეგაციის მიუღებლობისა ის არის, რომ ამ თხოვნას საკონსტიტუციო ხასიათი არა აქვს.

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, და იტალიის კაბინეტებმა დაადგინეს მისწერონ ოსმალეთს—კრიტის კუნძულიდგან ჯარი წაიყვანე და აქაურ მაჰმადიანებს ჩვენ გავუწევთ მფარველობასო.

**პეტერბურგი.** შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ კომისიისაგან ინდოეთიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ შავი ჭირი ბომბეიში მატულობს: 4 ივლისიდგან 10 ივლისამდე ავად გახდა 433, გარდაიცვალა—307. 27 აგვისტოდგან 2 სექტემბრამდე ავად გახდა 3,112, გარდაიცვალა 2,238. ბომბეიში 5 სექტემბრიდგან 12 სექტემბრამდე ავად გახდა 205 კაცი, გარდაიცვალა 173. კალკუტაში 7 კაცი გახდა ავად და 7 გარდაიცვალა.


## „ღამე მშვიდობისა“

განსაკუთრებულ ღირსების ფხვნილი მწერების დასახოცავად.

შეუდარებელი რამ არის ეს „რ. კელერისა და ამხ.“ მოსკოვის ქარხანაში დამზადებული ფხვნილი. ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან. (Спокойной ночи!) (3—მ.—2)

1899 г. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

## „ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

съ безплатнымъ приложеніемъ

**„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.**

Выходитъ два раза въ недѣлю *): по воскресеньямъ и четвергамъ

**безъ предварительной цензуры**

**Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою СЕМЬ руб.**

Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—4 руб. и къ 1 му апрѣля—3 рубля.

Правительственныя и общественныя учрежденія, а также должностныя лица этихъ учрежденій, вправѣ подписываться въ кредитъ, но при условіи, чтобы: а) требованія были заявлены на бланкѣ присутствія, съ указаніемъ числа, мѣсяца, года и №; б) при требованіи были присланы два рубля, и в) въ требовательномъ бланкѣ опредѣленъ былъ срокъ, къ которому должны быть доставлены въ редакцію остальныя подписныя деньги (5 р.) за газету, при чемъ учрежденіе принимаетъ на себя отвѣтственность за своевременную присылку остальныхъ денегъ (5 р.), до истеченія того года, на который сдѣлана подписка.

(Адресъ: С. Петербургъ, Невскій пр., д. № 59).

**ПРОГРАММА** Передовыя статьи.—Обзоръ постановленій отечественнаго и иностраннаго законодательствъ,—Статьи и замѣтки спеціально юридическаго содержанія—Рисунки и иллюстраціи къ тексту статей—Вѣсти и слухи—Корреспонденціи.—Фельетонъ.—Рѣшенія правительствующаго Сената, Отчеты о судѣбныхъ засѣданіяхъ и процессахъ.—Рефераты юридическихъ ученыхъ обществъ и диспуты.—Движеніе по государственной и общественной службѣ (приказы министерствъ).—Дѣйствія правительства (собр. узакон. и роспор. прав.).—Списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената.—Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридическихъ журналовъ.—Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія).—Объявленія.

Вмѣстѣ съ этими, подписчики, **внесшіе полную годовую плату за газету**, могутъ обращаться въ контору „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ или личныхъ интересовъ. Порученія эти редакція принимаетъ на себя при соблюденіи слѣдующихъ условій:

§ 1. Сообщеніе въ „Юридической Газетѣ“ въ отдѣлѣ „Почтоваго ящика“, справокъ о резолюціяхъ **Кассаціонныхъ Департаментовъ прав. Сената, но не болѣе 3-хъ разъ въ теченіе подписного года**, дѣлается безплатно. Лица же, желающія получить по дѣламъ **Кассаціонныхъ Департаментовъ Сената** справки по почтѣ, прилагаютъ два рубля за каждую справку по каждому отдѣльному дѣлу, а желающія получить ее по телеграфу присылаютъ кромѣ двухъ рублей и стоймость отвѣтной телеграммы.

§ 2. Наблюденіе за ходомъ дѣла, какъ составляющаго предметъ особаго порученія болѣе или менѣе продолжительнаго, производится на условіяхъ особаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 3. Справки и порученія **по судебнымъ и административнымъ департаментамъ Правительств. Сената**, равно какъ и по всѣмъ вообще, кромѣ Кассаціонныхъ Департаментовъ Сената (см. выше § 1-й), **центральнымъ и мѣстнымъ административнымъ и судебнымъ учрежденіямъ** (правительственнымъ и общественнымъ) должны производиться на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 4. Разрѣшеніе юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся имущественныхъ и личныхъ интересовъ, сообщеніе совѣтовъ и т. п. производится письменно по почтѣ, на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 5. Лица и учрежденія, обращающіяся за справками, обязаны сообщать: а) бандероль, за которую получаютъ „Юридическую Газету“; б) когда и кѣмъ поданы прошеніе или жалоба; в) на рѣшеніе какого присуственнаго мѣста или должностнаго лица, и г) когда и какимъ присутственнымъ мѣстомъ и должностнымъ лицомъ прошеніе или жалоба отправлены въ Сенатъ или другое правительственное учрежденіе.

§ 6. При невзносѣ **полной** годовой подписной платы и при неисполненіи условій, указанныхъ выше въ §§ 1—5 настоящей программы, всѣ требованія, запросы и порученія оставляются безъ движенія, такъ какъ порученія, предусмотрѣнныя § 1, обязательны для конторы, если подписчикомъ исполнены требованія, указанныя въ § 1 и 5, а порученія, дредусмотрѣнныя въ §§ 2—4, могутъ считаться обязательными для конторы лишь тогда, когда послѣдняя изъявитъ согласіе принять исполненіе возлагаемаго на нее порученія.

§ 7. Контора редакціи „Юридической Газеты“ также принимаетъ на себя указаніе адресовъ повѣренныхъ для веденія дѣлъ.

(3—უ.—1)

*) Въ дни Рождества Христова, равно на сырной, страстной и пасхальной недѣляхъ, а также въ два лѣтніе мѣсяца (съ 15 іюня по 15 августа) газета выходитъ по одному разу въ недѣлю.


Дозволено цензурою, Тифлисъ 15 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე